ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №601443

ნომერი: AR1118087

თარიღი : 20.03.2013

გაცემის თარიღი : 26.03.2013

გაცნობის თარიღი : 27.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გიორგაშვილი პ/ნ 01027020986
- თბილისი, აფხაზავას VI შეს. #4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1118087 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.10.10.004.036 საწყობი, ანგარის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ მითითებული საკადასტრო ერთეული მომიჯნავესთან ერთად წარმოადგენდა ერთიან რეგისტრაციას (საკადასტრო კოდით #01.10.10.004.008), რომელზეც სამსახურის მიერ 2011 წლის 21 ოქტომბერს მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) განსანთავსებლად გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება #1625. დავალების გაცემის საფუძველია მოქალაქე ოთარ ჯანჯალაშვილის განაცხადი. შესაბამისად თავდაპირველად მოთხოვნა უნდა დააყენოთ აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის გაუქმებაზე. მოთხოვნა უნდა დააყენოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან წარმოდგენილი იქნეს მისი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (დედანი) დოკუმენტაციის გაუქმების თაობაზე. განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ tas.ge-> ელექტრონული განაცხადები > სამართლებრივი საკითხები > ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ნომენკლატურაში. ასევე პირი, რომელზეც გაცემულია #1625 (21.10.2011) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება შესაძლებელია დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად. მხოლოდ აღნიშნული პროცედურის შემდგომ შესაძლებელი გახდება ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვა.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 20 მარტს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 5 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 10 სამუშაო დღე. თუ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი საბუთი, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.